საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 4 თებერვალი. 2022 წ. №20 (9358) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

საზარბაზნე ხორცი

სად ქრება ნატოს პრინციპები, როცა რუსეთი კლანჭებს აჩენს?

იხ. 3 გვ.

უკრაინის პრეზიდენტზე უფრო მეტი უკრაინელი და ნატოს წევრ სახელმწიფოებზე უფრო მეტი ნატოელი — ასე შეიძლება დავახასიათოთ ყველა ის ქართველი ე.წ. პოლიტიკოსი და ე.წ. ექსპერტი, ვინც უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციაში ტონის უკიდურესობამდე გამკაცრებასა და რუსეთისა და პუტინის ყველა ბრუნვაში ტრიალს მოითხოვდა.

მთელი ევროკავშირის და ნატოს წევრი სახელმწიფოების შეშფოთებაა-აღშფოთება, ჯერ-ჯერობით, ნწუ-ნწუ-ნწუ-ნწუ...-ს იქით არ მიდის და ამ ვითარებაში, უნებლიეთ, შეიძლება იმ ფიქრმაც გაგიელვოს კაცს, საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული, თუნდაც მოზომილი ტექსტის „საქვეყნოდ გამოფენა“, ცოტა ნაადრევი ხომ არ არისო?! კარგად მესმის, რომ **სანამ ევროგაერთიანებისა და ნატოს მხრიდან აღიარებას არ მოვიპოვებთ, მუდმივად რაღაც-რაღაცები უნდა ვამტკიცოთ ხოლმე, მაგრამ ზედმეტები და მომავალ თანასწორ პარტნიორებზე „თავზე გადახტომები“ არა მგონია, პროდუქტიული ნაბიჯი იყოს.** მეჩვენება, რომ მმართველი პარტიის ინიციატივა უფრო შიდა მოხმარების თემაა, ვიდრე რაიმე გარე შედეგზე, ანუ უსაფრთხოების გარანტიების მიღებაზე გათვლილი ნაბიჯი.

შექმნილი რეალობის ობიექტური ანალიზისთვის, მოდით, კონკრეტული მაგალითებით, კონკრეტული ფაქტებით ვილაპარაკოთ: ნატოს ერთი-ორი წამყვანი სახელმწიფოს მხრიდან, მაქსიმუმი, რასაც უკრაინას ჰპირდებიან, არის ის, რომ როგორც არა ვალდებულებებით დაკავშირებულ, არამედ როგორც, უბრალოდ, „მეგობარ“ (შემირცხვენია ვალდებულებებისგან დაცლილი მეგობრობა) სახელმწიფოს, მიაწვდიან გარკვეული რაოდენობის თავდაცვით იარაღს. გარდა ამისა, გადაწყვეტილია, რომ ომის ცენტრალურ ევროპაში განვრცობის თავიდან ასარიდებლად(?!), ალიანსის საჯარისო ფორმირებებს, უკრაინის საზღვრების სიახლოვეს განალაგებენ, რაც კიდევ უფრო ამძიმებს პერსპექტივას, რადგან იქმნება ერთგვარი ჩაკეტილი სივრცე — **რინგი ორისთვის, ცოფიანი დათვისთვის და მოკლე ხანჯლით შეიარაღებული გლადიატორისთვის.** ანუ, წლების განმავლობაში სხვადასხვა დაპირებებით შეგულიანებულ „ოჯახის მომავალ წევრს“ ღიად და მკაფიოდ ეუბნებიან, რომ **მსოფლიოს ნომერ პირველ საფრთხედ აღიარებულ რუსეთის სახელმწიფოსთან ომი უკრაინელ ხალხს დამოუკიდებლად მოუწევს.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **დასავლელი პარტნიორების მაქსიმუმი, უკრაინის რეალური საჭიროებების მინიმუმთან ახლოსაც ვერ მიდის.**

ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის მორიგი წარმატება

8

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით ქვეყანაში 200-მდე მედიკამენტზე ფასები შემცირდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ თურქეთის ფარმაცევტული ბაზრის გახსნის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას უგკწტუცთ-ი ეხმაურება. რეპორტაჟის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით 200-მდე მედიკამენტზე ფასები შემცირდება.

რეპორტიორი აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ დეფიციტის დაძლევის მიზნით თურქეთიდან მედიკამენტების იმპორტი დაუშვა. მისივე თქმით, საქართველოსთან შედარებით ბევრი მედიკამენტის ფასი თურქეთში 1000%-ით იაფია. რეპორტაჟის ავტორი მოქალაქეების აზრით დაინტერესდა. ნანა შუკაკიძე, რომელსაც ხშირად უწევს აფთიაქში სიარული გულის წამლების შესაძენად, აღნიშნავს, რომ მაღალი ფასების გამო ხანდახან ვერ ახერხებს საკმარისი დოზის შეძენას, რადგან მხოლოდ მცირე თვიური პენსია აქვს. შუკაკიძე აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში მედიკამენტების ფასები იმდენად გაიზარდა, რომ ქართველი მოხუცებისთვის ეს ფუფუნება გახდა.

შუკაკიძე განმარტავს: **„აქ პენსიონერებისთვის წამლები მიუწვდომელია, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისთვის ექიმმა ფრანგული წამალი გამომიწერა, თვეში დაახლოებით 70 ევრო მჭირდება, ჩემი შვილები რომ არა, არ ვიცი, როგორ შევძლებდი გადახდას“.**

რეპორტაჟის ავტორის თქმით, სწორედ ამ მიზეზით, მთავრობამ თურქეთის ბაზრისთვის ეროვნული სექტორის გახსნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, რის შედეგადაც მედიკამენტების დეფიციტი აღმოიფხვრება. „ევრონიუსის“ რეპორტიორის თქმით, საქართველოს მთავრობა კომპანიებს მოუწოდებს, რაც შეიძლება მალე შემოიტანონ თურქული მედიკამენტები. სიუჟეტი ევრონიუსის ვებგვერდზე ესპანურსა და ფრანგულ ენებზეა ხელმისაწვდომი.

„კრემლმა დასავლეთი დააშინა და გამოიწვია

4

4

„მძვინვარე მგლები“, „ცრუ მწყემსები“ აფრიკას მოედვნენ!

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია აფრიკაში შედის, რაში სჭირდება ეს რუსეთს?

2

ნაცებმა მშვენივრად იციან, რომ მერაბიშვილი და ახალაია პოლიტიკაში არარაობები არიან!

კახა კალაძე: კორუფციასთან ბრძოლაში პრინციპული და შეუვალი ვიქნებით!

2

სალომე ზურაბიშვილი: მისარია, რომ პარტნიორები მხარს მიჭერენ!

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სოციალურ ქსელ „ტვიტერის“ გვერდზე წერს, რომ ეროვნული თანხმობის პროცესთან დაკავშირებით ევროპარლამენტარ სვენ მიქსერს ესაუბრა.

მოხარულია, რომ პარტნიორების მხრიდან ხედავს მხარდაჭერასა და ინტერესს, რათა პოლარიზაციის დასაძლევად დიალოგს ხელი შეუწყონ.

„ვესაუბრე ევროპარლამენტარ სვენ მიქსერს ეროვნული თანხმობის პროცესზე. მიხარია, რომ ვხედავ ჩვენი პარტნიორების მხრიდან მხარდაჭერასა და ინტერესს ამ პლატფორმის მიმართ, ჩვენს საზოგადოებაში პოლარიზაციის დასაძლევად დიალოგის მხარდაჭერას“!..

მამუკა ხაზარაძეს „უსათნოესი“ პოლიტიკოსის იმედი აქვს!

სალომე სამადაშვილი დღეიდან პარტია „ლელოს“ წევრი ოფიციალურად გახდა და პარტიის პოლიტიკური მდივანი იქნება. **პარტიის ახალი წევრი „ლელოს“ ლიდერებმა მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ წარადგინეს.** მათი განმარტებით, სალომე სამადაშვილი პარტიისთვის დიდი შენაძენია. თავის მხრივ, სალომე სამადაშვილმა აღნიშნა, რომ სწორედ „ლელოში“ ხედავს საქართველოს წარმატების შანსს...

კახა კალაძე: კორუფციასთან ბრძოლაში პრინციპული და შეუვალი ვიქნებით!

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და უკანონო მშენებლობების საკითხზე ყურადღება კიდევ ერთხელ გაამახვილა.

„მინდა, კიდევ ერთხელ გამოვეხმაურო იმ სამწუხარო ფაქტს, რაც დედაქალაქში ხდება. მხედველობაში მაქვს სახელმწიფო მიწების მიტაცება და უკანონო მშენებლობების განხორციელება. ბევრჯერ მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ იმ ადამიანებს და ოჯახებს, ვისაც საცხოვრებლის პრობლემა გააჩნია, აქვს უსახლკაროს სტატუსი (დღეის მდგომარეობით, 400-მდე ასეთი ოჯახი გვყავს დედაქალაქში), მივეცი პირობა, რომ უზრუნველყოფილი იქნებიან მუნიციპალური საცხოვრისით და ეს პრობლემა მათთვის მოგვარებული იქნება. წინასაარჩევნოდ ძალიან ბევრი ვისაუბრე ამ საკითხზე და გაცემულია დაპირება, რომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, არც ერთი უსახლკარო თბილისელი არ გვეყოლება, ყველა იქნება უზრუნველყოფილი საცხოვრისით. დავიწყეთ საბინაო ფონდის შექმნა და მიმდინარე თვეს 15-16 ოჯახი იქნება საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებული“.

...ჩვენს გვერდით ცხოვრობენ ისეთი ადამიანებიც, რომელთაც გაჭირვებასა და უსახლკარობასთან არანაირი კავშირი არ აქვთ და ცდილობენ, სახელმწიფო მიწები უკანონოდ მიიტაცონ. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი გვქონდა ბოლო დემონტაჟის განხორციელების დროს, როდესაც მიტაცებული იყო სახელმწიფო მიწები. ერთ-ერთი პიროვნება საუბრობდა თავის გაჭირვებაზე, მაშინ, როდესაც ამ ადამიანს 2015 წელს მუნიციპალიტეტისგან მიღებული აქვს 356 000-ლარიანი დახმარება. ამ ადამიანს ასევე, აქვს სამი საცხოვრებელი ბინა ვაკის რაიონში.

იხ. 7 გვ.

ნაცებმა მუვენივარდ იციან, რომ მერაბიშვილი და ახალაია პოლიტიკაში არარაობები არიან!

9-წლიანი პატიმრობის შემდეგ, 1 მარტს რუსთავის მე-12 პენიტენციურ დაწესებულებას ტოვებს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია. საპატიმრო 7-წლიანი პატიმრობის შემდეგ დატოვა ყოფილმა შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, რომელსაც for.ge-ს ინფორმაციით ფსიქოლოგის დახმარება დასჭირდა. ჩვენი ინფორმაციით, „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური ელიტის მიერ იგნორირებული ყოფილი შს მინისტრი ამ დრომდე გადის ფსიქოლოგიურ მკურნალობას. „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების ძალოვანი მინისტრები თავისუფლებაზე არიან, მაგრამ საპატიმროში რჩება ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა „ნაციონალური მოძრაობის“ მტკიცებით იმდენად მძიმეა, რომ სხვა დაავადებებთან ერთად ექსპრეზიდეტს მეხსიერების პრობლემაც აწუხებს.

ინფორმაცია სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ რომ შეთხზულია და პოლიტიკური მოტივი აქვს, ადასტურებს თავად პატიმრის აქტიურობა. გარდა იმისა, რომ სასამართლო დარბაზს იყენებს, როგორც პოლიტიკურ ტრიბუნას, ასევე პატიმარი სააკაშვილი აქტიურად არის ჩართული პოლიტიკურ პროცესებში. თუ გავითვალისწინებთ ბრალდების სიმძიმეს, სულ მცირე 6 წელი მოუწევს, ციხის კედლებიდან დააკვირდეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს.

„ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარის **კობა ნაყოფიას** განცხადებით, მიხეილ სააკაშვილს მწვავე ანემია აქვს. ასევე, მოგვარებული არ აქვს ნევროლოგიური პრობლემები, მაგრამ ამის მიუხედავად, ნაყოფია გვამცნობს, რომ სააკაშვილი მაინც მხნედ და ოპტიმისტურად არის და, ასევე, დარწმუნებულია, რომ ქართველი ხალხი მალე მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას და ძალიან მალე დატოვებს საპყრობილეს.

„მას რეალურად აღენიშნება ძალიან მწვავე ანემია, ასევე, აღენიშნება ტაქიკარდია, ის ნევროლოგიური პრობლემები, რაც მას გააჩნდა შიმშილობის შედეგად, დღემდე მოგვარებული არ არის, ყველაფერ ამის ფონზე, მის პირად ექიმს არ უშვებენ და არც უცხოელ ექიმებს, რომლებიც მზად არიან, ჩამოვიდნენ და შევიდნენ მასთან. მინდა გითხრათ, რომ სრული პასუხისმგებლობა მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ივანიშვილს და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ეკისრება, ნუ არიან ილუზიებში, რომ ეს ამბავი ასე მარტივად ჩაივლის“, — აცხადებს **კობა ნაყოფია.**

იმ შემთხვევაში, თუ მიხეილ სააკაშვილს ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნება, ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, დაეხმარებიან კვლევის ჩატარებაში, ასევე გაეწევა კვალიფიციური ექიმების კონსულტაცია.

„ჩვენი მხრიდან არის მაქსიმალური მხარდაჭერა და საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ დავეხმარებით როგორც ადგილზე ტრანსპორტირებაში, თუ არის ამის საჭიროება, ასევე მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის ჩატარება იქნება თუ კვალიფიციური ექიმების კონსულტაციის, მაგრამ ამ დრომდე, რამდენადაც ვიცი, ამის საჭიროება არ იყო და ჩვენთვის არავის მოუმართავს. ჩვენი მხრიდან არანაირი პრობლემა არ არის, მზად ვართ“, — განაცხადა **ზურაბ აზარაშვილმა.**

საქართველოში ევროკავშირის ელჩის **კარლ ჰარცელის** განცხადებით, ევროკავშირი ყურადღებით აკვირდება სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას, პატიმრის ფუნდამენტური უფლებების დაცვასა და მიმდინარე საქმეებზე სამართლებრივი პროცესის სათანადოდ წარმართვას. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, რომ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით სამედიცინო ექსპერტების რჩევა იყოს გათვალისწინებული.

„როგორც ვიცით, თავიდანვე ევროკავშირის პოზიცია ჩამოვაყალიბე სამ ეტაპად. პირველი — სააკაშვილის ჯანმრთელობა და კარგად ყოფნაა, მეორე — მისი, როგორც პატიმრის ფუნდამენტური უფლებების დაცვა, დაბოლოს, სათანადო სამართლებრივი პროცესი მიმდინარე საქმეებზე. ამაზეა ჩვენი ფოკუსი და ყურადღებით ვაკვირდებით. რაც შეეხება მის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ვიცი, რომ რამდენიმე დღის წინ სამედიცინო ექსპერტების ვიზიტი განხორციელდა სახალხო დამცველის ეგიდით, ხორციელდება სხვა ვიზიტებიც. ჩვენთვის მნიშვნელოვანი, ფუნდამენტურია, რომ მის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სათანადო მკურნალობასთან დაკავშირებით ექსპერტის რჩევა იყოს გათვალისწინებული“, — განაცხადა **კარლ ჰარცელმა.**

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** ამბობს, რომ სააკაშვილი რაც უფრო მეტად იაქტიურებს, მით უფრო დამაზიანებელი იქნება, პირველ ყოვლისა, თავად მისთვის.

რაც შეეხება ახალაიას, რომელიც ზუსტად ერთ თვეში დატოვებს საპატიმროს, ძაბირაძე გამორიცხავს, რომ ამ ეტაპზე პოლიტიკას დაუბრუნდეს. მისი თქმით, მნიშვნელოვანი დეტალია „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ახალაიას, როგორც პატიმრის არშემჩნევა. თუმცა დარწუნებულია, რომ თავისუფლებაზე მყოფი ახალია დამატებით პრობლემებს არ შეუქმნის „ნაციონალურ მოძრაობას“ და ისიც, როგორც მერაბიშვილი „ნაცმოძრაობის“ ელიტურ პოლიტიკურ ავანსცენაზე არ გამოჩნდება.

ანალიტიკოს **დავით ქართველიშვილის** განცხადებით, როდესაც დასჭირდა „ნაციონალურ მოძრაობას“ როგორც ევროკავშირის, ასევე ევროპარლამენტის დონეზე, მათ შორის მედიაციის დონეზე გაიტანეს ე.წ. სამი პოლიტპატიმრის — **ირაკლი ოქრუაშვილის, გიგი უგულავას** და **ჟორიკა რურუას** საკითხი, მაგრამ ამ ხელოვნურად შექმნულ „პოლიტპატიმრების“ სიაში ვერ მოხვდა ბაჩანა ახალაია.

„თეორიული თვალსაზრისითაც კი, აი, ამ ხელოვნურად შექმნილ აბსურდულ პოლიტპატიმრის სიაში ერთხელ მაინც შეეტანათ ახალაია, თუ გაუვიდოდათ, გაუვიდოდათ. სადაც ჟორიკა რურუა შეიტანეს და გაუვიდათ, რომელიც თავისი კრიმინალური წარსულით რითია უფრო პოლიტიკური ბეგრაუნდის მქონე, ვიდრე ყოფილი თავდაცვის მინისტრი? არ ვიცი, ამათი თავმოყვარეობის დონე რითი გაიზომება და რა ნიშნულზე არის შემორჩენილი, რომ ბაჩანა ახალაიას არ ჰქონდეს წყენა თავის ყოფილ თანაპარტიელებთან მიმართებაში, თუნდაც ამ ელემენტარული საკითხის გამო. თუ თავმოყვარეობა შერჩა, არ ვიცი, რას იზამს, შეიძლება საქართველო საერთოდ დატოვოს და წავიდეს იქ, სადაც მისი ძმა არის მიმალვაში. მაგრამ თუ აქტიურ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაებმება, მაშინ საერთოდ წამეშლება შთაბეჭდილება მის კაცობაზე და თავმოყვარეობაზე“, — აღნიშნა **დავით ქართველიშვილმა.**

თამთა ქარჩავა

საზარბაზნე ხორცი

(პირველი გვერდიდან)

ევროპის ლიდერი სახელმწიფო გერმანია, საერთოდ განერიდა, საყოველთაო შეფასებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე რთულ და ყველაზე დიდი საფრთხის შემცველ პროცესს. იმდენად განერიდა, რომ ერთი შეხედვით, თავისი საერთაშორისო ავტორიტეტი დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ. მართალია, გერმანიის ახალმა ხელისუფლებამ ქვეყნის მაღალი რანგის სამხედრო პირი მკაცრად დასაჯა უკრაინის მიმართ უადგილო შეფასებებისთვის, მაგრამ „შეცდომისთვის“ ისეთი კომპენსაცია გაიღო, რომ გადაყენებულ ადმირალს შეიძლება უხაროდეს კიდეც ნაადრევ პენსიაზე გასვლა – უკრაინის არმიას გერმანიისგან დახმარების სახით გადაეცა 5000 (ხუთი ათასი) ცალი ჩაფხუტი(?)... ერთმა იმედგაცრუებულმა უკრაინელმა პოლიტიკოსმა მწარედ იხუმრა, მომავალში ბალიშებს ველოდებით იმ ჩაფხუტების წყალობით გადარჩენილი უკრაინელი ჯარისკაცებისთვისო. ხუმრობა იქით იყოს და პარალელურად, ნატოს წევრი გერმანიის მთავრობამ ნატოს წევრი ესტონეთის მთავრობას მოსთხოვა, მის მიერ საჩუქრად გადაცემული იარაღიდან, მცირედიც კი არ გაიღოს უკრაინისთვის დახმარების გაწევის მიზნით.

გერმანიის მრავალი კითხვის აღმძვრელი მაგალითის მერე, ხორვატულ „გაუგებრობაზე“ და სხვა „უხერხულ ინციდენტებზე“ ყურადღების გამახვილებაც არ ღირს...

როცა უდიდესი ძალის, უდიდესი შესაძლებლობებისა და უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე გერმანია, ყოფით ენაზე რომ ვთქვათ, ასე იქცევა, თუ შენი პატარა სამშობლოს წინაშე ოდნავი პასუხისმგებლობა გაგაჩნია, ცოტა უნდა დაფიქრდე მაინც.

მოსალოდნელი ესკალაციის პროცესში, მთავარი მოთამაშეები რუსეთი, უკრაინა და ამერიკის შეერთებული შტატებია, სადაც რუსეთს აგრესორის როლი აქვს განსაზღვრული, უკრაინას – მსხვერპლის, ხოლო აშშ-ს – მომრიგებელ-დამკვირვებლის. სრული კატეგორიულობით შემიძლია განვაცხადო, რომ **ქართველი პოლიტიკოსისთვის, თუ ის პრობლემის სამართლიანი გადაწყვეტის მომხრეა, მოვლენათა ამ ურთულეს განვითარებაში, მთავარი უნდა იყოს უკრაინელი ხალხისა და უკრაინის ხელისუფლების პოზიცია.** როცა უკრაინის პრეზიდენტი, მთელი მსოფლიოს გასაგონად, არაორაზროვნად გაიძახის, რომ სინამდვილესთან აცდენილი განცხადებებით ხდება ვითარების ხელოვნურად დამძიმება, რომ მისი ქვეყნის მოსახლეობაში ეს ყველაფერი იწვევს უსაფუძვლო პანიკას და რომ, აქედან გამომდინარე, ეკონომიკას ადგება გამოუსწორებელი ზიანი, რა ნამუსით უნდა გააგრძელო ტემპერატურის აწევაზე თუნდაც ფიქრიც კი? მით უმეტეს, როცა იცი, რომ უდროო დროს და უადგილო ადგილას „ცეცხლის დანთებით“ ზიანს ვერავის მიაყენებ, მხოლოდ ხელები შეიძლება დაიწვა.

საყურადღებოა პრეზიდენტ ზელენსკის კიდევ ერთი განცხადება, რომლის აღრესატიც ნატოს წევრი სახელმწიფოებია: „ნამდვილად ვიცით, რომ თუ ჩვენ არ ვართ ნატოში, მაშინ თვითონ ვიცავთ თავს. როცა თავად იცავ თავს, როცა მარტო ხარ პირისპირ ძალიან ძლიერ სახელმწიფოსთან, კითხულობ: რა საჭირო სანქციები „შემდეგ“, ვისკენ არის მიმართული? რისთვის? ეხება თუ არა უკრაინას? სამწუხაროდ – არა“. და კიდევ – „არ ვიცი, რა იქნება შემდეგ... თუ ასეა, თუ ყველა ამბობს, რომ ხვალ სრულმასშტაბიანი ომი იქნება, რატომ გვჭირდება სანქციები „მოგვიანებით?“ ეს მიუთითებს იმაზე, რომ მათ სურთ ევროკავშირის ქვეყნების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი აგრესიის შეჩერება, მაგრამ ეს ჩვენი სახელმწიფოს ხარჯზე არ შეიძლება გაკეთდეს. ჩვენ 15 ათასი ადამიანი დაგვეღუპა და მსოფლიოს მრავალი ქვეყანა კი განიხილავს სანქციებს „შემდეგ“. მსგავსი საქციელი უსამართლოა“.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გატონი ზელენსკი არა პირად, არამედ უკრაინელი ხალხის პოზიციას გამოხატავს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შექმნილ ვითარებაში მისი ერთადერთი საყრდენი მხოლოდ და მხოლოდ უკრაინელი ხალხია.

ესკალაციის საფრთხეს მაღალი გაურკვევლობის ხარისხი რომ ახლავს თან, ამის თვალსაჩინო მაგალითია, დანაშაულებრივი ნაცრეჟიმის ერთ-ერთი ცივსისხლიანი „ზონდერის“, წლების განმავლობაში უკრაინის პოლიტიკაში აქტიურად ჩართული და უკრაინულ გასტროლებზე მ. სააკაშვილის მარჯვენა ხელის **დავით საყვარელიძის** შეფასებები: „უკრაინის დაშინების კამპანია გრძელდება ყველა მხრიდან – **ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორის აშშ-ისა და მთავარი მტრის რუსეთის ერთობლივი ძალებით!** ასეთი ეპიკური შეცდომა და ამერიკანიზმის ყველა ღირებულების ჩანაცვლება დიდი ხანია, არავის უნახავს. **გაიდენმა დაუშვა თავისუფალი სამყაროს ნებისმიერი ლიდერისთვის ფატალური შეცდომა და შეთქმულებაში შევიდა კრემლში მჯდომ პარანოიკთან.** მან სიტყვა მისცა „მინსკი 2“-თან დაკავშირებით, რომ მიაწვება უკრაინას ამ შეთანხმების შესრულებისთვის ისე, როგორც ამას პუტინი ხედავს“.

დავით საყვარელიძისეული შეფასებები მთავრდება უმძიმესი დასკვნით – **„ეს წერტილს დაუსვამს უკრაინის დასავლურ-ტრანსატლანტიკურ მომავალს**



და დამოუკიდებლობას, რაც მრძოლითა და სისხლით არის მოპოვებული. ახლა გაიდენი ჩიხშია და ჯერჯერობით ვერ ვხვდები, როგორ გამოიყვანს „ბაბუს“ ამ პოლიტიკური სამარიდან მისი ადმინისტრაცია. **ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ახლა ამერიკას უფრო უნდა ომი, ვიდრე პუტინს“.**

ძველი „ნაცზონდერის“ მოსაზრებები მრავალმხრივ არის საყურადღებო – თავისი წარსულიდან, თავისი ვალდებულებებიდან გამომდინარე, ის ვერ გაბედავს და ზურგს ვერ აქცევს სააკაშვილის ინტერესებს, ნებისმიერ პოლიტიკურ თემასთან დაკავშირებით. როცა ცნობილია ნაცსექტის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება „ქართული ოცნების“ მიერ მომზადებულ, უკრაინის მხარდამჭერ რეზოლუციასთან დაკავშირებით, რაც, ბუნებრივია, მათ ბელადთან აუცილებლად იქნება შეთანხმებული, რას უნდა ნიშნავდეს სექტის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და ყველაზე „დამსახურებული“ წევრის ეს „გამოხდომა“? უნდა ვივარაუდოთ, რომ იქ, **უკრაინულ საზოგადოებრივ აზრში, იმდენად მყარად აქვს გადგმული ფესვები საყვარელიძის მიერ გამუღავნებულ დამოკიდებულებას,** რომ სააკაშვილი იძულებულია, მისთვის დამახასიათებელი ორმაგი თამაში ითამაშოს, რათა შეინარჩუნოს უკრაინის ხელისუფლების ის, თუნდაც მცირე, მხარდაჭერა, რაც მისთვის ამ მძიმე პერიოდში, ჯერ კიდევ არსებობს.

გატონი ზელენსკის და „ზონდერ“ საყვარელიძის შეფასებები რომ შევაჯეროთ, ანუ რომ შევაჯეროთ აღქმები „ზევიდან“ და „ქვევიდან“, შემდეგ დასკვნებამდე მივალთ:

ა) უკრაინას, ერთმნიშვნელოვნად, ომი არ უნდა და გრძელვადიანი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ძალისხმევას არ იშურებს, როგორმე გააღებინოს ნატოს კარი ვისაც ჯერ არს. ყველა სხვა შემთხვევაში, ჩვენი კიეველი მეგობრები და პარტნიორები წაგებულები დარჩებიან;

ბ) ნატოს წევრი სახელმწიფოების სიტყვა და საქმე ურცხვად ემიყნებგა ერთმანეთს. არავის სურს აუტკივარი თავის ატკივება, მაგრამ, იმავდროულად, მცდელობას არ აკლებენ, თავის უმოქმედობაზე პასუხისმგებლობა უკრაინას აჰკიდონ, ლამაზი სიტყვებით უხვად დატვირთული „შეგონებებით“ – „სწორ გზაზე დგახართ...“ „კიდევ ბევრი უნდა იმუშაოთ...“ „ნატოს კარი ღიაა...“ და ა.შ. და ა.შ. მაგრამ ერთი ლაფსუსი აქაც გაეპარათ – იმ „ალალმა“ გერმანელმა კაცმა, თავის გულახდილობას კარიერა რომ შესწირა, სიტყვასიტყვით შემდეგი განაცხადა, „საქართველო ყოველმხრივ მზად არის ნატოში გასაწევრებლად, მაგრამ მაინც არ მივიღებთო, მიზანშეწონილი არ იქნებაო...“

ევროგაერთიანების დამოკიდებულება მოსალოდნელი ომისადმი ერთ ორსიტყვიან საბედისწერო ფრაზაში ეტევა – „ხელებიც დაგვიბანიაო“. სხვათაშორის, ამერიკელებისა და ბრიტანელებისგან განსხვავებით, ევროკავშირელები, სანქციებზე საუბრის დროსაც, დიდი ენთუზიაზმით არ გამოირჩევიან.

გ) რუსეთი არ მალავს, რომ სურს, მუდმივად შეინარჩუნოს აღმოსავლეთ უკრაინაში მოპოვებული პოზიციები (ყირიმზე ლაპარაკიც აღარ არის). ამის გარანტიად ის მიიჩნევს უკრაინის ნატოში არგაწევრებას. დასავლური სტრუქტურები რუსეთის ამ სურვილს თითქოს უარყოფითად პასუხობენ, მაგრამ იმდენად შორეულ პერსპექტივაში გადააქვთ შესაძლო გადაწყვეტილება, რომ დღევანდელი პასუხისმგებელი პირები, არც იქ და არც იქ, დიდი ალბათობით, ცოცხლები აღარ იქნებიან. ანუ, პოლიტიკური შინაარსის ერთგვარ აბსურდის თეატრში ვიმყოფებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, რუსეთის მხრიდან ომის აუცილებლობა დიდად არ იკვეთება.

განხილვას იმსახურებს ერთი, შეიძლება ითქვას, თეორიული ვარიანტი – **რუსეთის შიდა პოლიტიკური ვითარება იმდენად მწვავეა, რომ პუტინი კრიზისის მოსახსნელად არაორდინარული გადაწყვეტილებების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა.** აღნიშნული მიმართულებით ხელჩასაჭიდი ვერაფერი მოვიძიე, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რუსეთის თემაზე მომუშავე სპეციალისტები, როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებულს არაფერს ამბობენ.

არსებობს კიდევ ერთი, 50/50%-ზე თეორიულ-რეალური სავარაუდო სცენარი - იმ ტიპის პროვოკაცია, უკრაინაზე გადაგრალებით, ყველაფერზე ხელის მომწერ საკაკაშვილს რომ მოაწყობინეს ცხინვალის რეგიონში;

დ) დასავლეთის მიმართულებაში ცალკე გამოყოფას მოითხოვს აშშ-ის და პირადად პრეზიდენტ გაიდენის აქტივობების ანალიზი – პანდემიის, ეკონომიკური უკუსვლისა (ჩინეთის კონტექსტში) და საგარეო პოლიტიკაში მძიმე ჩავარდნების (სირია, ავღანეთი, ყაზახეთი) შედეგად, აშშ-ის ახალი პრეზიდენტის რეიტინგი რეკორდულ მინიმუმზეა დასული. ამას ისიც ემატება, რომ ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული კითხვები კიდევ უფრო მძაფრად ითხოვს დამაჯერებელ პასუხებს. ისტორია გვასწავლის, რომ შესუსტებული პოზიციების გამყარებისთვის ომის გამოყენება ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა. მეორე მხრივ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ კრიზისი, არცთუ იშვიათად, ახალი შეცდომებისა და ჩავარდნების საფუძველი ხდება ხოლმე. რუსეთ-უკრაინის ომით (მცირემასშტაბიანი იქნება ის თუ ფართომასშტაბიანი), რომლის შედეგიც წინასწარ არის ცნობილი, ამერიკა, რუსეთთან დაპირისპირებაში, ვეჯვობ, გევრს ვერაფერს მოიგებს. შეპირებული ეკონომიკური სანქციები, გარკვეული დროის განმავლობაში, დამაზიანებელი იქნება „მსოფლიოს ბოლო იმპერიისთვის“, მაგრამ ეს არაფერია იმ დივიდენდებთან შედარებით, რასაც პუტინი მოიპოვებს პოლიტიკური და მორალური თვალსაზრისით. თანაც, როგორც ხდება ხოლმე, რუსეთი მოკლე დროში მოახერხებს ახალ რეალობასთან ადაპტაციას, მოახდენს როგორც ეკონომიკის, ისე ბაზრების დივერსიფიკაციას და სრულიად განახლებული წარსდგება მსოფლიოს წინაშე, ახალი გადანაწილების შედეგად გაფართოებული გავლენებით.

ერთადერთი, ვისთანაც შეიძლება მოგებული დარჩეს ბაიდენის ამერიკა, ევროკავშირია. სანქციები, როგორც წესი, ორმხრივად ზიანის მომტანია. რა თქმა უნდა, უფრო ძლიერ ზიანდება სანქცირებული ქვეყანა, მაგრამ მეორე მხარესაც უწევს ხოლმე გარკვეული კრიზისების გადატანა. ეს მეორე მხარე, კონკრეტულ შემთხვევაში, იქნება ევროკავშირი (**აქ არ შეიძლება არ ამოგიტივტივდეს გერმანიის პოზიციონირებასთან დაკავშირებული კითხვები**). ამ პირობებში ის უფრო მეტად დამოკიდებული გახდება ამერიკის შეერთებულ შტატებზე და „**უკრაინელების ხარჯზე**“ (როგორც პრეზიდენტი ზელენსკი ამბობს) **მოპოვებული** ეს „**გამარჯვება**“ **იქნება ამერიკელი პოლიტიკოსების „სიამაყის“ ერთადერთი საფუძველი.**

ზემოთ შემოთავაზებული ვრცელი ანალიზის შემდეგ, უპრიანი იქნება დავუბრუნდეთ სხვადასხვა აბზაცში მიმოფანტულ, უპასუხოდ დატოვებულ მნიშვნელოვან კითხვებს: რით არის გამოწვეული ევროპავშირის სახელმწიფოების თითქოსდა ვითარებასთან შეუსაბამო პასიურობა? რატომ იქცევა ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის ასე გაუგებრად გერმანია? სად ქრება ნატოს პრინციპები, როცა რუსეთი კლანჭებს აჩენს? სად არის საქართველოს და უკრაინის ადგილი საერთაშორისო პოლიტიკაში?.. კითხვა ბევრია, პასუხები ბუნდოვანი.

ბოლოსთვის შემოვიტოვე ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა – **რა ელის საქართველოს?** იმის გაცნობიერება, რომ უკრაინა საზარბაზნე ხორცად არის განწირული, გვაფიქრებინებს, რომ დღევანდელი სტატუსკვო სანატრელი მდგომარეობაა, თავისი 20% დაკარგული ტერიტორიებითა და ჰაერში გამოკიდებული უსაფრთხოებით. უფრო მეტიც, უკრაინის სცენარს ბეწვზე ვართ გადარჩენილი. **არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩვენი ქვეყანაც იმ გეგმის ნაწილი უნდა გამხდარიყო, რაც უკრაინაში ხდება.**

კონკრეტული დასკვნების გასაკეთებლად, გონების თვალით, კიდევ ერთხელ დეტალურად გავიაროთ ის პროცესები, რაც ჩვენს სამშობლოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე გადახდენია და შემდგომ ამისა, ვცადოთ ლოგიკური ჯაჭვის აწყობა ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების შესახებ. ამ შემთხვევაში შედარებით ადვილი იქნება პასუხის გაცემა კითხვაზე – **რა ელის საქართველოს?**

ბიძინა დვალი.

(გაგრძელება იქნება)

რუსეთი ცდილობს, დაწყებული ვაჭრობით მაქსიმალური შედეგი მიიღოს. რა თქმა უნდა, რუსეთს ყოველთვის აშფოთებდა ნატოს გაფართოების პოლიტიკა, მაგრამ ასე მწვავედ ეს საკითხი ამ დრომდე არ დამდგარა. რატომ დაიწყო რუსეთმა ღღეს ამ ყველაფერგზე ლაპარაკი და არა, მაგალითად, ხუთი წლის წინ. რა იყო ამ პროცესების ინიციატორი?

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია ამბობს, რომ პროცესების დაწყება რამდენიმე ფაქტორმა გამოიწვია.

სერიოზული აურზაური

„კრემლმა დასავლეთი დააშინა და გამოიწვია

– ამის ინდიკატორი იყო ის, რომ დაიწყო ნატოს ინტენსიური სწავლებები უკრაინის და საქართველოს ტერიტორიაზე. ასევე, აქტიურად დაიწყო უკრაინაზე თავდაცვითი იარაღის გადაცემა, რაც რუსეთისთვის რეალური საფრთხის შემცველი გარემოებაა და ასევე, პოლონეთსა და რუმინეთში განთავსდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ელემენტები. რუსეთი ფიქრობს, რომ ეს ყველაფერი მის წინააღმდეგაა მიმართული. იგივე, უკრაინის ნატოში შესვლის ალბათობა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო ის, რომ რუსეთმა, ამერიკამ და ნატომ აღიარეს, რომ ერთმანეთისადმი მტრულად არიან განწყობილნი. ნატო უფრო შორსაც წავიდა და მტრად ჩინეთიც აღიარა, ეს ცოტა გაურკვეველი მომენტია, სად ჩინეთი და სად ევროატლანტიკური უსაფრთხოება, ეს ცოტა სასაცილოცაა. ამ ყველაფერმა ერთად გამოიწვია ეს მაღალი დონის ესკალაცია.

– სამხედრო მომზადების თვალსაზრისით, როგორია უკრაინის შეიარაღებული ძალები?

– უკრაინის შეიარაღებული ძალები 2014 წლამდე იყო აბსოლუტურად ბრძოლისუუნარო, გამოუცდელი. რაც შეეხება ღღევანდელ უკრაინის არმიას, მას უკვე აქვს საბრძოლო მოქმედებებში გამოცდილება, გარკვეულწილად, დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან იყო წვრთნები, რამაც უკვალოდ არ ჩაიარა, მაგრამ თუ შევადარებთ უკრაინის და რუსეთის შეიარაღებულ ძალებს, რუსეთის ძალებს გაცილებით დიდი გამოცდილება და შესაძლებლობები აქვს. რუსეთს გამოცდილების მხრივ გააჩნია ორი ჩეჩნური კამპანია, საქართველოსთან ომის გამოცდილება, სირიის გამოცდილება, მთიან ყარაბაღში არსებული სამხედრო გამოცდილება, სამშვიდობო მისიები და სხვა. ასევე, რუსეთის შეიარაღებული ძალების კონტიგენტი ავიაციაში, სატანკო და საარტილერიო სისტემაში, ბევრად აღემატება უკრაინის შეიარაღებულ ძალებს. მეორე მომენტია ის, რომ შეიძლება რუსეთმა დაამარცხოს უკრაინის შეიარაღებული ძალები, ისიც გააჩნია, რა მიზნები ექნება რუსეთის არმიას. აქ არის საუბარი როგორი ტიპის პოლიტიკური მიზნები აქვს რუსეთს, მეორეა ოპერატიული მიზნები რა გააჩნია, ესეც გაურკვეველია. რუსეთის მთავარი იდეა არის უკრაინაში ხელისუფლების შეცვლა. რუსეთმა ბოლომდე არ მოიხურა კარი, როგორც ეს ჩვენთან მიმართებაში გააკეთა, იმიტომ რომ დონეცკისა და ლუგანსკის სეპარატისტული რეჟიმები არ არის აღიარებული. ამიტომ, მინსკის ხელშეკრულებებიც, გარკვეულწილად, მოქმედებს. მინსკის ხელშეკრულებების ამოქმედება აძლევს საშუალებას რუსეთს, უკრაინაზე ჰქონდეს გარკვეული პოლიტიკური მანიპულირების საშუალება.

–დავუშვათ, რომ ვლადიმერ პუტინის განცხადებები არის მხოლოდ და მხოლოდ დიპლომატიური ავანტიურა, რას მიიღებს ამ შემთხვევაში კრემლი ამ პროცესებიდან?

– კრემლი მიიღებს იმას, რომ ფაქტობრივად, მან დასავლეთი დააშინა და გამოიწვია სერიოზული აურზაური. ეს უკვე პუტინისთვის სავსებით საკმარისი იქნება. ეს არის გამოცდა, რამდენად მყარია ევროატლანტიკური სოლიდარობა. ავიღოთ იგივე გერმანიის გადაწყვეტილება, რომ უკრაინას არ მისცემს ლეტალურ იარაღს, ასევე ხორვატიის პრეზიდენტის პირდაპირი და აგრესიული განცხადება, იგივე, ნატოს წევრ სახელმწიფოებში უნგრეთის და რუმინეთის პოზიცია როგორი იქნება, არავინ იცის. პირველ თებერვალს უნგრეთის პრეზიდენტი ჩავიდა მოსკოვში, ესეც საინტერესოა. ასევე, რუსეთმა ფაქტობრივად, თურქეთი გამოიყვანა ტრანსატლანტიკური სოლიდარობის ზონიდან. ამერიკის სანქციები უკვე არა მარტო რუსეთზე, თურქეთზეც მოქმედებს. ასეთი სოლიდარული ღრმულის შექმნა, პუტინისათვის სავსებით საკმარისი იქნება.

– ვამბობთ, რომ საქართველო არის უკრაინაზე მიბმული, იქ განვითარებული მოვლენები სარკისებურად აისახება ჩვენზეც, და მაინც, რა ფორმით მოხდება ბმა? უნდა ველოდოთ ანალოგიურ აგრესიას რუსეთის მხრიდან?

– თუ უკრაინაში შეიჭრნენ რუსები, ავტომატურად საქართველოშიც შემოიჭრებიან - ეს გარდაუვალია. შეიძლება ისეთი ფორმით და მასშტაბებით არ შემოიჭრან, საქართველოში უფრო მცირე მასშტაბები იქნება. თუ უკრაინაში შექმნილია 30-მდე ტაქტიკური საბატალიონო ტიპის შენაერთები, აქ ხუთი ჯგუფი რომ შემოვიდეს, ეგეც საკმარისი იქნება. საქართველო უკრაინა არ არის. 2008 წლის ომმა თავისი სამწუხარო როლი მაინც შეასრულა. ღღეს, საქართველოში საკმაოდ გაზრდილია პრორუსული სენტიმენტები. არის ასეთი ტერმინი „ომის სინდრომი“, ეს მარტო ინდივიდუალურ ადამიანებს კი არ ეხება, აქ უკვე ერის დონეზეა. ეს შიშის სინდრომი თანდათანობით იზრდება. ახლა რომ რეფერენდუმი ჩატარდეს, მე არ გამოვრიცხავ, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ საერთოდ არ დაუჭიროს მხარი ნატოში გაწევრებას.

– იქნებ ეს სიფრთხილიდან არის გამომდინარე, გაღიზიანების პოლიტიკას ერიდება ხელისუფლება?

– თვალში ნაცრის შეყრა არ არის საჭირო. ამას ჯობია, გამოვიდნენ და თქვან, რომ შეეცვალათ პრიორიტეტები და რუსეთთან კონფრონტაციას ერიდებიან, ასეთი ორმაგი თამაშები არ გამოვა. ახლა დგას პრინციპულად საკითხი – სად ხარ შენ. მაგალითად, მოლდოვის პრეზიდენტმა თქვა, რომ მოლდოვა შეინარჩუნებს თავის საგარეო მიმართულებას და გამოაცხადებს ნეიტრალიტეტს, რომ ნატოში არ შევა.

– მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის პრეზიდენტმა არაერთხელ კატეგორიულად მოსთხოვა ამერიკას, რუსეთს უკვე დაუწესოს ეკონომიკური სანქციები, შეერთებული შტატები თავს არიდებს ამ რადიკალური ნაბიჯის გადადგმას, რატომ?

– სანქციები რაც ყველაზე მტკივნეული იყო, რუსებმა უკვე მიიღეს. ფინანსური სანქციები დაარტყამს თვითონ ამერიკას და ევროპას, ეს საკმაოდ გლობალურ-ეკონომიკურ კრიზისს გამოიწვევს. რუსეთ-ამერიკას შორის არის ასევე სავაჭრო ურთიერთობები, ბოლოს და ბოლოს, რუსეთი გლობალური ეკონომიკური სისტემის ინტეგრირებული ნაწილია. საბჭოთა კავშირს ამ კუთხით თავისი სისტემა ჰქონდა, მაგრამ ახლა რუსეთი ამ პროცესების ნაწილია. საქართველო-რუსეთს შორის ომი მიმდინარეობდა და ამ დროს რუსეთი ჩვენ გვაწვდიდა ელექტროენერგიას, ხომ პარადოქსია? ამიტომ, ეკონომიკურ სანქციებს აზრიც არ აქვს.

ესაუბრა
შორენა გონგლაძე

ეს არ იქნება უკრაინისა და რუსეთის ომი, ეს ევროპული ომი იქნება...

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ რუსეთის სრულმასშტაბური თავდასხმის შემთხვევაში, ომი არა უკრაინასა და რუსეთს შორის, არამედ რუსეთსა და ევროპას შორის იქნება.

„საკუთარ თავს ვიცავთ, ჩვენს ქვეყანას ვიცავთ, ჩვენს კულტურას, ენასა და ტრადიციებს ვიცავთ. უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ხალხს ვიცავთ. მაღალი რისკები იქნება ყველასთვის, ვინც ჩვენი ტერიტორიის თუნდაც მცირე ნაწილის დაკავებას შეეცდება“, – აღნიშნა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ბორის ჯონსონთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე. უკრაინის პრეზიდენტის თქმით, უკრაინელები ბოლომდე იბრძოლებენ. იგივე განცხადება გააკეთა უკრაინაში მყოფმა დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ბორის ჯონსონმა.

„ყველაფერს ვაკეთებთ, რათა გავაძლიეროთ უკრაინის მიერ წინააღმდეგობის გაწევის უნარი. ვფიქრობ, ყველაზე კარგი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია არის ის, რომ რუსეთის მოქალაქეებს ავუხსნათ, რომ უკრაინელები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებენ. 200 ათასი უკრაინელი სამხედრო ძალიან მძლავრი ძალაა. რუს დედებს თავიანთი შვილების სიცოცხლე უნდა ახსოვდეთ“, – განაცხადა ბორის ჯონსონმა.

„მძვინვარე მგლები“, „ცრუ მწყემსები“ აფრიკას მოედვნენ!

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია აფრიკაში შედის, რაში სჭირდება ეს რუსეთს?

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა 2021 წლის დასასრულს, 29 დეკემბერს ,გადაწყვიტა აფრიკის კონტინენტზე ჩამოაყალიბოს საკუთარი ეგზარქატი.მის შემადგენლობაში ჩრდილოეთ და სამხრეთ აფრიკის ეპარქიები შევლენ. ამასთან, რუსულმა ეკლესიამ მის შემადგენლობაში აფრიკის 8 ქვეყნის 102 მღვდელი მიიღო.

ეგზარქატი – მართლმადიდებელი ეკლესიის რამდენიმე ეპარქიის გამაერთიანებელი ოლქია, რომლის უფროსი – ეგზარქოსი ემორჩილება პატრიარქს. ჩრდილოეთ აფრიკის ეპარქია 31 ქვეყანას მოიცავს (მაროკოდან და ეგვიპტიდან დაწყებული ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკებისა და სამხრეთ სუდანით დამთავრებული). სამხრეთ აფრიკის ეპარქია მოიცავს 23 ქვეყანას (მათ შორის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, მადაგასკარს, ანგოლას, ზამბიას და სხვებს) ანუ, ლაპარაკია თითქმის მთელ აფრიკაზე. რელიგიის ბევრი ექსპერტი ფიქრობს, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეს საქციელი არღვევს საეკლესიო კანონიკას და მართლმადიდებელი სამყაროს ერთობასაც ემუქრება. ეს ტერიტორიები უპატრონო არ ყოფილა – ეკუთვნის ალექსანდრიის პატრიარქატს, რომელსაც აფრიკის კონტინენტზე 29 ეპარქია და 6 მონასტერი აქვს.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია პირდაპირ მიუთითებს, რომ ეს გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ ალექსანდრიის პატრიარქატმა 2019 წელს შექმნილი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია აღიარა. ალექსანდრიის პატრიარქმა თეოდორე მეორემ უკვე მოუწოდა მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოს, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების კრება მოიწვიოს და მოსკოვის პატრიარქისა და სინოდის საქციელი განსაჯოს.

მოსკოვისა და აფრიკის პატრიარქი

მართლმადიდებელ სამყაროში ყველა ეკლესიას თავისი საზღვარი აქვს და სხვის ტერიტორიაზე შეჭრა საკმაოდ საჩოთირო საკითხად მიიჩნევა.

ამან შეიძლება განხეთქილებაც გამოიწვიოს. თანამედროვე ავტოკეფალიებისგან განსხვავებით, ტერიტორიები ძველი პატრიარქატებისა (კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, კვიპროსის ეკლესიების) მსოფლიო კრებების მიერ არის დამტკიცებული. იქ პარალელური სტრუქტურების შექმნა, როგორც ეს რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ გააკეთა, წესის დარღვევაა.

„მოსკოვის პატრიარქატი, ისევე როგორც კრემლი, ჰიბრიდულ ომს აწარმოებს. დოკუმენტების მიხედვით, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ტერიტორია მოსკოვის სამეფოა, მე-16 საუკუნის მდგომარეობით. ამ ფარგლებში აღიარებდნენ მას ბერძნებიც. ფაქტობრივად კი მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე მოიცვა, იმის იქითაც კი მიდის. ახლა აფრიკა დაემატა. სასაცილოა.

პლასტისფერო-აპოკალიფსის მეხუთე მხედარი

კაცობრიობის ცივილიზაციას რომ ვამბობთ, შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში, ტექნოლოგიურ პროგრესს ვგულისხმობთ, რომელსაც აუარება სიკეთესთან ერთად – ისევ ადამიანის დაუდევრობით! – ისეთი საფრთხეები ახლავს, რომელთათვის დროულად თავის აურიდებლობა ერთიანად ყველას განადგურებას გვიქადის. ამის ყველაზე თვალნათელი მაგალითია ბირთვული ენერგიის „მოთვინიერება“, რომლის „ჯინის ბოთლიდან გამოშვება“, ანუ ატომური იარაღის საომარ მოქმედებებში გამოყენების დაწყება ყველას მოსპობის მუქარის წინ გვაყენებს.

ასეთი მაგალითების მოყვანა, სამწუხაროდ, კიდევ მრავლად შეიძლება, თუმცა ამ ჯერზე მხოლოდ ერთ მათგანზე შევჩერდებით, რომელიც მსოფლიოს ყველა მხარეში სხვადასხვა ოდენობისა და უთვალავი დანიშნულების პლასტმასის ნაკეთობათა გამოშვებას და მათი მოხმარების ვადის გასვლის შემდეგ ამ მასალის საყოფაცხოვრებო თუ სამრეწველო ნაკეთობებით გარემოს ყველა ზღვარს გადაცილებული უპასუხისმგებლობით დაბინძურებას უკავშირდება.

საგანგაშო ინფორმაცია: წყალში მცურავი პლასტიკური ნარჩენების მთლიანი მასა ყოველწლიურად 10 მილიონი ტონით მატულობს!

საკითხის არსში უკეთ რომ გავერკვეთ და პრობლემის სათავიდან განხილვა დავიწყოთ, უნდა ვთქვათ, რომ საყოფაცხოვრებო, გაცილებით გვიან კი სამრეწველო ნაგავთან ბრძოლა ადამიანმა ძალიან დიდი ხნის წინათ კი დაიწყო, მაგრამ დანამდვილებით შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ეს ჭიდილი თანასწორძალიანი არასდროს ყოფილა. თუკი უწინ მთავარი პრობლემა, ასე ვთქვათ, თავად ნარჩენებში, ანუ ნაგავში საწამლავი ნივთიერებების შემცველობის ოდენობაში იყო, ამჟამად ვითარება გაცილებით გართულებულია. ნაგავთან ბრძოლას კაცობრიობა იმ მარტივი მიზეზით აგებს, რომ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საკუთარი მოღვაწეობის სავალალო შედეგებს ვერ ამჩნევს, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თითქოს კი იმჩნევს, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად სათანადოდ არ ირჯება.

რომ დავაკვირდეთ, ჩვენ ნაგვის ყუთში ერთჯერად თეფშებს, ჭიქებს, კოვზებსა და ჩანგლებს, პოლიეთილენის პარკებს, სხვადასხვა კვების პროდუქტის კონტეინერებს და უამრავ სხვა რამეს ისე ვყრით, არც კი ვფიქრობთ, თუ რა ბედი ელით მათ შემდგომ, რადგან დარწმუნებული ვართ, ვინაიდან ჩვენ ნარჩენების გატანის გადასახადს ვიხდით, იმათ ამბავს როგორმე უჩვენოდაც გაარკვევენ „ვინც ჯერ არს“.

ეჭვგარეშეა, რომ ჩვენ თუ ნაგვის გატანის ფულს ვიხდით, მისი მომავალი ბედის საქმე აღარ მოგვეკითხება, მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვაჩვენებს, სრულიად არ არის გამორიცხული, რომ ამ ჩვენ მიერ ერთხელ უკვე გადაყრილ ნაგავს კიდევ ერთხელ შევხვდეთ სრულიად მოულოდნელ, თანაც ერთობ სავალალო ვითარებაში. თავად თქვენ ყველაფერი წესების სრული დაცვითაც რომ გააკეთოთ, მაინც არავითარი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ ვთქვათ, თქვენმა კარის მეზობლებმა პოლიეთილენის პარკები სპეციალურად გადასამუშავებელ ბუნკერში კი არ გადაყარეს, არამედ უახლოეს წყალსაცავში მოისროლეს, ანდა სადღაც მიწაში ჩაფლეს.

ჩვენ ნაკლებად ვუკვირდებით იმას, რომ ასე დაუფიქრებლად და უწესოდ მიწაში ჩაფლული ან მდინარეში გადაყრილი და თავიდან ასე მოშორებული პლასტმასის ნარჩენები, ადრე თუ გვიან, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ზედაპირზე ამოტივტივდება და სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ჩვენს შთამომავლობას. უკაცრავად და, შეუგნებელ ხალხს ეს საკითხი იქნებ სულაც არ ადარდებს, მაგრამ ისინი, ვისაც შვილებისა და შვილთაშვილების ედარდებათ, ამაზე კარგად უნდა დაფიქრდნენ.

დიახ, ეს ასეა: ჩვენ მიერ დაუდევრად გადაყრილი ნაგავი მომავალში აუცილებლად შეუქმნის დიდ პრობლემას ჩვენსავე შთამომავლებს, მაგრამ თურმე ის საფრთხეს არა მხოლოდ მათთვის, არამედ უშუალოდ ჩვენთვისაც წარმოადგენს.

ნუ გგონიათ, თუკი პირადად თქვენ მოვლილ და კოხტად დასუფთავებულ რაიონში ცხოვრობთ, საიდანაც საყოფაცხოვრებო ნაგავი ყოველთვის დროულად გააქვთ, ამით თქვენ გარანტირებულად დაცული ხართ იმ ჭირისგან, რომელიც გადაყრილი პლასტმასის დაგროვილ გორებში იმალება, თუგინდ ეს დაზვინული მასივები თქვენი საცხოვრისიდან ათასობით კილომეტრით იყოს მოშორებული.

დარწმუნებული ვართ, თითოეულს ცხოვრებაში ერთხელ მაინც სმენია მსოფლიო ოკეანეში წარმოშობილ ნაგვის კუნძულებზე. დაბინძურების მასშტაბების მიახლოებით მაინც წარმოსადგენად ვიტყვით, რომ **მარტო წყნარ ოკეანეში მათი ჯამური ფართი იმხელა ქვეყნის ტერიტორიის ფართობს გაუტოლდა, როგორიცაა საფრანგეთი. უზარმაზარი, თუმცა კი წყნარი ოკეანისაზე ზომით რამდენადმე პატარა ნაგვის კუნძული ინდოეთის ოკეანის ცენტრში აღმოაჩინეს, პლასტმასის ორი დამოუკიდებელი „სათავადო“ კი – ატლანტიკის ოკეანეში.**

საგანგაშო ინფორმაცია: წყალში მცურავი პლასტიკური ნარჩენების მთლიანი მასა ყოველწლიურად 10 მილიონი ტონით მატულობს!

არადა, დროთა განმავლობაში პლასტმასები თანდათანობით მიკრონაწილაკებად იშლებიან, რომლებიც ღრუბლებივით იწოვენ მომწამლავ ნივთიერებებს და რომლებიც იმავე ნაგვის გროვებში წარმოიშვებიან! მერე კი ამ შხამებით გაჯერებულ პლასტმასის ნარჩენებს ყლაპავენ თევზები, რომლებსაც შემდგომ ჩვენ ვიჭერთ ზღვებსა თუ მდინარეებში და მადიანადაც მივირთმევთ...

მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, პლასტმასის ნარჩენთა მიერ მოტანილი საფრთხეები ამით არ შემოიფარგლება: **არცთუ დიდი ხანია, რაც ოკეანეებში მოცურავე ნაგვის კუნძულებში, მკვლევარებმა ახალი სიცოცხლე აღმოაჩინეს, რომელსაც პლასტისფერო უწოდეს.** ესაა კაცობრიობისთვის მანამდე უცნობი ათასობით ბაქტერია, რომლებიც პლასტმასის ნარჩენებში თავს მშვენივრად გრძნობენ.

ჩვენთვის უცნობი მიკროორგანიზმები იზრდებიან, მრავლდებიან და ვითარდებიან, ისრუტავენ ტოქსინებს და მსოფლიო ოკეანეში მოგზაურობას იწყებენ. დააკვირდით, ამ მიკროორგანიზმებს არსებობა შხამიან ნაგავში შეუძლიათ, მაშასადამე ისინი არაჩვეულებრივად სიცოცხლისუნარიანები არიან. ეს კი მეცნიერებს იმის თქმის უფლებას აძლევს, რომ **ისინი უაღრესად სახიფათონი არიან.**

დაბოლოს, იმის თქმაღა დაგვრჩენია, რომ დედამიწაზე სიცოცხლე ოდესღაც ოკეანიდან ხმელეთს ამოვიდა და ჩვენ მისი შთამომავლები და მემკვიდრეები ვართ. ახლა კი იმის რეალური საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით, რომ ოკეანიდანვე ხმელეთზე შეიძლება ამოვიდეს ჩვენივე სიკვდილი, „აპოკალიფსის მეხუთე მხედარი“, რომლის წინ აღდგომის ძალა არ შეგვწევს იმიტომ, რომ ის თავადვე შევქმენით.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

არასწორი ინფორმაციის მსხვერპლი

მომღერალმა **ვერიკო ტურაშვილმა** გადაცემაში „ღამის პრაიმ თაიმი“ განაცხადა, რომ მამა პოსტკოვიდური გართულებით გარდაეცვალა და ის ანტივაქსერთა მიერ გავრცელებული არასწორი ინფორმაციის გამო არ აიცრა.

„ოჯახში ყველამ გადავწყვიტეთ, რომ უნდა ავცრილიყავით, ჩემი შვილიც აცრილია, 18 წლის შვილი მყავს. ერთადერთი, ჩვენი ოჯახიდან იყო მამა, რომელიც გახდა არასწორი ინფორმაციის მსხვერპლი, რომ აცრა ცუდია და არ არის საჭირო. მამა წავიყვანეთ ასაცრელად, მაგრამ არ შემოვიდა. ძალიან მალე დაინფიცირდნენ ჩემი მშობლები და მამაჩემი, რომელიც აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო, პოსტკოვიდური გართულებით გარდაიცვალა“.

პატრიარქმა კირილმა თავის წოდებას „მოსკოვისა და სრულიად რუსეთის“ შეუძლია „სრულიად აფრიკისაც“ დაამატოს“, – ამბობს რელიგიის საკითხების ექსპერტი ტატიანა დერკაჩი.

102 უცნობი მღვდელი და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ხელფასები

ოფიციალური **მონაცემებით, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა თავის იურისდიქციაში აფრიკის 102 მღვდელი მიიღო.** მათ სახელებს არ ამბობენ.

სტოკჰოლმის სკოლის თეოლოგიის პროფესორის, არქიმანდრიტ კირილის (გოვორუნი) თქმით, მეორე მხარეს გადასულების სრული სია ალექსანდრიის პატრიარქატსაც არა აქვს.

„ვინც გადავიდა, ამას საგულდაგულოდ მალავს. მათი მრევლი არც კი ეჭვობს, რომ ახლა რუსულ ეკლესიას ეკუთვნიან. ამ სამწყსოებში ალექსანდრიის პატრიარქს ისევ იხსენიებენ“.

ალექსანდრიის პატრიარქატის წარმომადგენლების თქმით, სასულიერო პირების ანონიმურობა შესაძლოა მათივე ბიოგრაფიით იყოს განპირობებული. კამერუნის მიტროპოლიტმა გრიგორმა განაცხადა, რომ რამდენიმე მათგანს მსახურება აკრძალული ჰქონდა, ზოგიერთს კი ჩინიც ჩამოერთვა. ის ირწმუნება, რომ ამ სასულიერო პირებს შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც თანამედროვე კალენდარი აღიარეს და ეკლესიას ოფიციალურად გამოეყვნენ. ასევე აქ შეიძლება ვნახოთ სხვადასხვა მიზეზით სქიზმაში მყოფი პირები.

მართლმადიდებელი ეკლესიის თავისებურება აფრიკაში ის არის, რომ მთლიანად დოტაციაზეა. საბერძნეთში, რუმინეთში თუ კვიპროსში სასულიერო პირებს ხელფასს სახელმწიფო უხდის. ბევრ ევროპულ ქვეყანაში, მათ შორის უკრაინაში, სერბეთსა და რუსეთში სასულიერო პირებს, შესაწირით ინახავენ მორწმუნეები. აფრიკაში სახელმწიფოც და მოსახლეობაც უმეტესად ღარიბია. ამიტომ რელიგიური ცხოვრება იქ საერთაშორისო ფონდებისა და რელიგიური მისიებისგან ფინანსირდება.

„აფრიკისთვის ტიპურია პოლიკონფესიური ცხოვრება“, – ამბობს სერგეი ჩაპნინი, – **„რამდენიმე წლის განმავლობაში მღვდელმა შესაძლოა იურისდიქციაც შეიცვალოს და კონფესიაც. აფრიკაში პირველ რიგში ფინანსური საკითხი დგას. ტაძარი მღვდელს რამდენს გადაუხდის? ეს შესაძლოა ხშირ შემთხვევაში გახდეს გადამწყვეტი“.**

მამა კირილ გოვორუნის წყაროებით, ალექსანდრიის პატრიარქატის იმ მღვდლებს, რომლებიც აფრიკაში მსახურობენ ხელფასი საშუალოდ 50-100 დოლარი აქვთ. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მათ 200 დოლარზე მეტის გადახდას ჰპირდება. გარდა ამისა, არის სხვა სტიმულიც. მიტროპოლიტ ლეონიდის თქმით, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია აპირებს კომპლექსური პროგრამის წამოწყებას, რომელიც სოციალური, საქველმოქმედო და ჰუმანიტარული კომპონენტებისგან შედგება. პირველ რიგში საუბარია კოვიდ -19 წინააღმდეგ რუსული ვაქცინა „სპუტნიკის“ შეტანაზე. ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების აშენებაზე. სერგეი ჩაპნინი ამბობს, რომ აფრიკაში შესაძლოა ახალი ტაძრებიც აშენდეს.

რით ემუქრებიან ძველი ეკლესიების პატრიარქები კირილს

ალექსანდრიის **პატრიარქმა სამწყსოს საკმაოდ ემოციურად მიმართა. ის რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას მოიხსენიებს როგორც „მძვინვარე მგლებს“, „ცრუმწყემსებს“, რომლებიც „აფრიკას ბინძური ფულით იპყრობენ“. ამასთან უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის გასამართლებლად, თეოდოსი მეორემ განაცხადა, რომ რუსები და უკრაინელები სხვადასხვა ხალხია და მოსკოვს კიევი „დამონებული“ ჰყავდა.**

რუსული ტაძარი აფრიკაში

St-sergius.info (Courtesy Photo)

ალექსანდრიის პატრიარქატის სინოდმა აპელაციით მიმართა მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსს. ისინი ითხოვენ, შეიკრიბონ ძველი ეკლესიები: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, კვიპროსის, იერუსალიმისა და ანტიოქიის და მომხდარი განსაჯონ. ამ ხუთი ეკლესიიდან სამმა უკრაინის ავტოკეფალია აღიარა, ამიტომ ვარაუდობენ, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქციელსაც უარყოფითად შეაფასებენ. ძირითადი ბრძოლა ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქატების ხმის მოსაპოვებლად გაიმართება.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ძველმა ეკლესიებმა მოსკოვის საპატრიარქოს საქციელი რომც დაგმონ, რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ შესაძლოა ეს არც მიიღოს. პატრიარქმა კირილმა ქადაგებაში თქვა, რომ მართლმადიდებელი სამყაროს ნაწილი შეიძლება განხეთქილებაში წავიდეს. გამორიცხული არ არის, ახლაც განაცხადონ, რომ ისინი (ძველი ეკლესიები) გადასცდნენ ჭეშმარიტების გზას. მიტროპოლიტმა ლეონიდმა თქვა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია აფრიკაში დიდხანს იქნება. ის იქიდან წამოსვლას არც ერთ შემთხვევაში არ აპირებს.

დმიტრი გორევოი

◎ ღირსეული დებიუტი

თავაწეულნი ბრუნდებიან!

პროგნოზი **იმისაა, რომ ადრე თუ გვიან იმსხვრევა, ოღონდ საამისოდ მთელ რიგ ფაქტორებთან ერთად იღბალიცაა საჭირო.**

ეს რომ მოხდეს, მაშინ გაქარწყლდება მეორე აქსიომაც — სპორტში ძლიერებს უმართლებთო, მაგრამ არის შემთხვევები, როცა მოვლენათა მსგავსი სცენარით განვითარებას სიამოვნებით დავთანხმდებით.

მოკლედ, საქართველო-რუსეთი...

არა, ამჯერად პოლიტიკა არაფერ შუაშია — საუბარია ფუტსალში ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალურ შეხვედრაზე, რომელიც ამსტერდამში გაიმართა და ჯერ აღნიშნულ ფორუმზე „ჯვაროსანთა“ მოხვედრა ჰგავდა თავისთავად ზღაპარს და, მით უმეტეს გმირობის ტოლფასად უნდა შეფასდეს **ავთანდილ ასათიანის** შეგირდთა პლეი-ოფში გაღწევა. თურმე, პრინციპულ მეტოქესთან ღირსეული ბრძოლა სწორედ ჯგუფური რაუნდის დასრულებიდან ორდღიანი დასვენებისა და გრონინგენიდან ნიდერლანდების მთავარ ქალაქში გადაბარგების შემდეგ გველოდა, სადაც ტრიბუნებზე, რომელიც 5000 მაყურებელს იტევს, კოვიდრეგულაციების გათვალისწინებით, მხოლოდ 1000 გულშემატკივარი დაუშვეს, მათ შორის, რასაკვირველია, ჩვენი გუნდის ქომაგებიც.

მოგეხსენებათ, აღნიშნულ სახეობაში ძალთა თანაფარდობა დაახლოებით ისეთივეა, როგორც რაგბიში, ოღონდ, რა თქმა უნდა, პირიქით, რასაც ტოტალიზატორებში ბუკმეკერთა მიერ დაწერილი ფსონებიც ადასტურებდა — 1,11 ჩრდილოელთა და 9,50(!) ჩვენებურთა სასარგებლოდ.

სხვათა შორის, ჩვენთვის დამამცირებლად კი გამოიყურებოდა ასეთი ციფრები, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მთლად უსაფუძვლოც არ ყოფილა. მართლაც, მსოფლიო რეიტინგის მეხუთე ნაკრებს საამაყო ტრადიციაც უმაგრებს ზურგს. კერძოდ, მეოთხედი საუკუნის წინათ რუსებმა კონტინენტური ტიტულის მოხვეჭასთან ერთად ფუტსალის პელედ წოდებული **კონსტანტინ ერიო-მენკოს** სახით ბომბარდირთა დავაშიც სარეკორდო ზღვარს უწიეს — 11 გოლი.

ისინი რომ აწმყოშიც ფავორიტად მოიაზრებიან, კარგად გამოჩნდა პირველ ეტაპზე, რომელიც ბურთების მრავლისმეტყველი შეფარდებითა და დამაჯერებელი გამარჯვებებით დაამთავრეს — 16:2 (სლოვაკეთთან — 7:1, სერბეთთან — 4:0 და პოლონეთთან — 5:1).

ჩვენ კი... მართალია, ისტორია დავწერეთ, მაგრამ სადებიუტო წარმატებამ საკადრო პრობლემები გამოიწვია, რამაც თალესის არყოფნაში და ელისანდროსა და თოფურიას ბოლომდე მოუშუშებელი ტრავმებით თამაშში ჰპოვა ასახვა, სათადარიგოთა სკამის შეზღუდული რაოდენობა კი, მოგეხსენებათ, ავტომატურად ცვლილებათა სიმცირესა და მწყობრში დარჩენილთათვის დამატებით ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ დატვირთვას ნიშნავს.

აი, სწორედ ჩამოთვლილი გარემოებები გვაძლევს სრულ უფლებას, ბიჭებს მადლობა გადავუხადოთ არა მარტო, ზოგადად, უძლიერესთა „რვეულში“ დამკვიდრებისთვის, არამედ კონკრეტულად მრისხანე მეტოქესთან ფრედ დასრულებული თუნდაც პირველი ტაიმისთვის — 0:0 (თვით მატჩი — 1:3).

რადგან წერილი ფორტუნაზე საუბრით დავიწყეთ, ისიც უნდა ითქვას, რომ შეხვედრის ბოლო წამებზე, როცა ანგარიში ჯერ კიდევ 1:2 იყო, მოწინააღმდეგის მეკარე **პუტილოვმა** ორი ურთულესი დარტყმა მოიგერია, თორემ დამატებით დროში რა მოხდებოდა, ძნელი სავარაუდოა (მისი კოლეგა **ზვიად კუპატაძეც** ქებათაქებას იმსახურებს არამარტო იმ დღისთვის, არამედ მთელი ტურნირის უმაღლეს დონეზე წარმართვისთვის). ვინ იცის, იქნებ სენსაციაც „გამოგვეცხო“ ისევე, როგორც წინა საღამოს ფინელებმა, რომლებსაც ასევე ცოტა დააკლდათ ანგარიშის გასათანაბრებლად მსოფლიოსა და ევროპის მოქმედ ჩემპიონ პორტუგალიასთან — 2:3.

აღარაფერს ვამბობთ უკრაინელთა დადგმულ შთამბეჭდავ სპექტაკლზე უკანასკნელი მუნდიალის ნახევარფინალისტ ყაზახეთთან — 5:3. ასე რომ, დღეს დიდი ომია: რუსეთი — უკრაინა, თუმცა, ინტრიგა არც მეორე — პირენეელ მეზობელთა კლასიკურად მიჩნეულ ტრადიციულ ჯახს აკლია პორტუგალიასა და ესპანეთს შორის, რომელიც თამამად შეგვიძლია ნაადრევ ფინალად მოვნათლოთ.

რჩეულთა კვარტეტში სწორედ „ფურია როხამ“ შეაბიჯა ყველაზე იოლად — 5:1 სლოვაკეთთან.

ისიც სათქმელია, რომ ევრო-2022-ის ოთხი დებიუტანტიდან სამმა შესანიშნავად იასპარეზა და პლეი-ოფში ითამაშა, მეოთხე — ბოსნია კი ჯგუფში ჩვენ ჩავტოვეთ და ბევრი არაფერი დაეწუნებოდა.

რეზიუმეს სახით დავძენთ, რომ „ჯვაროსანთა“ თავკაცი ავთანდილ ასათიანი სამართლიანად უხდის მადლობას მის გაწვრთნილ გუნდს საეტაპო მნიშვნელობის მიღწევისთვის და აცხადებს — სამშობლოში თავაწეულნი ვბრუნდებითო, ხოლო ჩვენ საქართველოს ნაკრების საერთაშორისო რეიტინგში მე-11 საფეხურამდე დაწინაურება პერსპექტივის თვალსაზრისით კიდევ უფრო ოპტიმისტურად განგვაწყობს, ამჯერად უკვე აქამდე მხოლოდ ნაოცნებარ მუნდიალის საგზურის მოპოვების ჭრილში.

საუბარი რომ ზოგადი არ მოგეჩვენოთ, განვმარტავთ: უკვე დასახელებულ მე-11 პოზიციამდე აღზევება მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის კენჭისყრისას „ჯვაროსნებს“ პირველ კალათაში განთესავს და

◎ ხელბურთი

რჩეულთა მსგავსად

როგორც ყველა წამყვან სახელბურთო ქვეყანაში, საქართველოშიც შეიქმნა ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეთაგან დაკომპლექტებული „ბ“ ნაკრები ტიტე კალანდაძის თავკაცობით, რომელმაც საბრძოლო ნათლობა ირანში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მიიღო.

დებიუტანტის კვალობაზე, ჩვენი გუნდი მეზობელი სახელმწიფოდან სავსებით მისაღები შედეგით დაბრუნდა — 3 გამარჯვება და ერთადერთი დამარცხება: უზბეკეთთან — 43:28, მასპინძელთა 18-წლამდელებთან — 27:21, ერაყთან — 24:22 და ადგილობრივთა 21-წლამდელებთან — 21:22.

„ჩვენი მიზანია თანამედროვე სტილის ხელბურთი ვითამაშოთ, რაც მაქსიმალურ გუნდურობას გულისხმობს. ბიჭების შესათამაშებლად და ოსტატობის ასამაღლებლად მსგავსი კონტაქტები აუცილებელია“, — განაცხადა ტიტე კალანდაძემ.

◎ ხუთი რგოლი

კურიოზები გრძელდება



მართალია, პეკინის ოლიმპიადამ სტარტი უკვე აიღო, მაგრამ ზამთრის თამაშების გახსნის ოფიციალური ცერემონია ჩინეთის დედაქალაქში დღეს გაიმართება.

თითქოს, უმკაცრესი კოვიდრეგულაციებისა თუ თეთრ ფორუმზე ხელოვნური თოვლის დომინაციის ფონზე რაღას უნდა გავეკვირვებინეთ, მაგრამ კორონავირუსის სამშობლოში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ ჰოკეის ტურნირისთვის შემუშავებული გეგმა „ბ“ მაინც გაოცებას იწვევს.

[illegible]

[illegible] ჩეხეთ[illegible] ჩეხეთ[illegible] ერ[illegible] ერ[illegible] ერ

კახა კალაძე:

კორუფციასთან ბრძოლაში პრინციპული და შეუვალი ვიქნებით!

(მეორე გვერდიდან)

არავინ იფიქროთ, რომ ვინმეს რამეს ვუთვლი, ღმერთმა ყველას მისცეს შესაძლებლობა, მაგრამ თაღლითობის საშუალებას არავის მივცემთ. უკანონობას ყოველთვის წინ აღვუდგებით. კანონი ყველასთვის ერთია. ისეთ ადამიანებს, რომელთაც უჭირთ და მხარდაჭერა სჭირდებათ, ყოველთვის მაქსიმალურად გვერდით დავუდგებით. ძალიან კარგად ვიცი, რა არის გაჭირვება, რა არის წარმატება, ყველაფერი გამოვლილი და გამოცდილი მაქვს საკუთარ თავზე. შესაბამისად, ასეთ ადამიანებს, ვისაც ჩვენი თანადგომა სჭირდება, დედაქალაქის მუნიციპალიტეტი და სახელმწიფო ყოველთვის გაუწვდის ხელს, ვიდრე მათ ნორმალური სოციალური პირობები და ცხოვრების საშუალება არ მიეცემა. სამწუხაროდ, დღესაც რჩება ბევრი მოქალაქე, ოჯახი ვისაც თანადგომა სჭირდება და ჩვენ ვართ ის ადამიანები, რომლებიც ყოველთვის დავეხმარებით მათ, თუმცა, თაღლითობის საშუალებას არავის მივცემთ. მინდა, კიდევ ერთხელ მივმართო მათ: არ მოგატყუოთ ვინმემ, მეგობრებო. ის თანხები, რასაც ამ მშენებლობებზე ხარჯავთ, ჯობს, შეინახოთ და ისევ თქვენი შვილებისა და მომავლისთვის გამოიყენოთ. თქვენ ძალიან მალე გადმოგეცემათ საცხოვრებელი ფართები და შეძლებთ ნორმალურ პირობებში ცხოვრებას.

* * *

თბილისის მერია „გაფანტული სკლეროზის დიაგნოზის მქონე მოქალაქეებისთვის ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსების პროგრამის“ ბენეფიციარებს დამატებით კვლევებს დაუფინანსებს.

2022 წლიდან თბილისის მერია აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარებს თავის ტვინის ან ხერხემლის და ზურგის ტვინის მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიასაც დაუფინანსებს. დაავადების სიმპტომები 20-დან 40 წლის ასაკში ვლინდება და ამ ასაკობრივი ჯგუფის არატრავმული უნარშეზღუდულობის მიზეზი ხდება. მერიის პროგრამის საშუალებით, შესაძლებელი ხდება, გაფანტული სკლეროზით დაავადებული პირები არ მიეჯაჭვონ საწოლს ან ეტლს, არამედ, ჩაერთონ ყოველდღიურ საქმიანობაში და თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ“...

* * *

თბილისის მერმა საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლებასა და ახალ მარშრუტებზეც გაამახვილა ყურადღება.

„როგორც იცით, ჩვენი სატრანსპორტო რეფორმის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის საყოველთაო ხელმისაწვდომობა. სამწუხაროდ, თბილისში იყო ადგილები, სადაც მუნიციპალური ტრანსპორტი საერთოდ არ დადიოდა, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის პრობლემას წარმოადგენდა. ჩვენი დაპირება იყო, რომ ამ რეფორმის ფარგლებში, არ დავტოვებთ არც ერთ ქუჩას, არც ერთ უბანს, დასახლებას, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ იმოძრავებს. პირველი თებერვლიდან ახალი მიკროავტობუსები დაინიშნა ავშნიანის დასახლებაში, გლდანის მეოთხე და მერვე მიკრორაიონების უკან მდებარე დასახლებებში, დიდი და პატარა ტბის მიმდებარე დასახლებაში, ასევე, ინგუშეთის ქუჩაზე, ამავე რაიონში წყაროთუბნის დასახლებაში, ვეძისისა და ზემო ვეძისის ისეთ ქუჩებზე, სადაც ტრანსპორტი დღემდე არ დადიოდა. ასევე ტრანსპორტით ისარგებლებს ბეთანიის მოსახლეობა, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩის და ავჭალის აგარაკების მცხოვრებლები“.

რეფორმები გრძელდება.

* * *

თბილისის მერი მთავროების სხდომაზე უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებებსაც გამოეხმაურა.

უკანონო მშენებლობები ყოველთვის პრობლემას წარმოადგენდა და დღესაც ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა. არასდროს მითქვამს, რომ თბილისში უკანონო მშენებლობები არ იყო. პირიქით, ყოველთვის ვამბობდი, რომ ეს იყო პრობლემა და 2017 წელს, როდესაც თბილისის მოსახლეობამ დედაქალაქის მერად ამირჩია, ამის აღსაკვეთად ბრძოლა დავიწყეთ.

მისივე თქმით, თბილისის მერიამ 2017 წლიდან უკანონო მშენებლობებზე ჯარიმების გაზრდა დაიწყო, თუმცა, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და სწორედ ამიტომ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები შემოიღეს.

„რაც შეეხება უკანონო მშენებლობებს, თქვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, უკანონო მშენებლობებზე ჯარიმები 3 ათასიდან 10 ათას ლარამდე იყო. როდესაც კორპუსი შენდება, იქ მილიონებზეა საუბარი. შესაბამისად, როცა კომპანიები ამხელა მოგებაზე გადიან, მათთვის ჯარიმის ეს ოდენობა არაფერს წარმოადგენს. ჩვენ კი ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, დავიწყეთ ჯარიმების გაზრდა და კატეგორიების მიხედვით, 8 ათასიდან 50 ათას ლარამდე გავზარდეთ, თუმცა, პრაქტიკაში ვნახეთ, რომ საკმარისი არც ეს იყო. ამიტომაც, უკანონო მშენებლობების შესაჩერებლად, საქართველოს პარლამენტის დახმარებით, შემოვიღეთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები. ვფიქრობ, ამით ჩვენ უკანონო მშენებლობებს წინ აღვუდგებით და შევაჩერებთ“.

* * *

დედაქალაქის მერმა თავის მოადგილეებს, სამსახურების უფროსებსა და გამგებლებს მიმართა, რომ თანამშრომლებთან სათანადო კომუნიკაცია ჰქონდეთ, რათა უკანონობა არ დაუშვან.

„კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ ყველას, რომ თქვენივე სამსახურებში, თქვენივე თანამშრომლებთან გქონდეთ კომუნიკაცია, რათა უკანონობა არავინ დაუშვას. იცით, რომ ჩემი მხრიდან ყოველთვის გაქვთ თანადგომა. თუ რაიმე საჭიროებაა, პირადი დახმარებაა, მაქსიმალურად მზად ვარ, გვერდით დაგიგდეთ, ხელი შეგიწყოთ, მაგრამ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში ძალიან პრინციპული ვიქნებით“...

„თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მექრთამე თაღლითები გაკოჭეს!

თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებთან და საქართველოს პროკურატურასთან თანამშრომლობით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ქრთამის აღებისა და თაღლითობის მცდელობის ფაქტზე, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ოთხი თანამშრომელი დააკავეს.

გამომძიებით დადგენილია, რომ ხსენებული პირები, თანამდებობრივი უფლება-მოვალეობის შესრულების სანაცვლოდ, სხვადასხვა პირისგან, ქრთამის სახით, იღებდნენ ფულად თანხას. ამ ეტაპზე, იდენტიფიცირებულია რამდენიმე ათეული პირი, რომლებმაც, სამსახურებრივი მფარველობისთვის, ერთობლივად ან ცალ-ცალკე, თანხა გადასცეს სატრანსპორტო კომპანიის თანამშრომლებს.? ზემოთ ხსენებული ქმედების შედეგად, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა დიდი ოდენობით უკანონო შემოსავალი მიიღეს, რაც ურთიერთშორის გაინაწილეს“.

გამომძიება ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით ქრთამის აღებისა და დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს.

სულთათანა

რეზო ნემსაძე

ქართველ ფარმაცევტთა ძველ გვარდიას კიდევ ერთი ღირსეული კაცი **რეზო ნემსაძე** გამოაკლდა.

ვინც მას იცნობდა, დაგვემოწმება, რომ იგი ღირსეული ქართველი და ადამიანთა უანგარო დამხმარე და პატივისმცემელი კაცი იყო. ძალიან უმუხთლა ცხოვრებამ, როცა ვაჟი უდროოდ გარდაეცვალა, მაგრამ იგი მაინც ღირსეულად და ვაჟკაცურად აგრძელებდა საქმიანობას — თავისი ოჯახის, ახლობლების, მეგობრების სული და გული იყო. მთელი ცხოვრება სიყვარულით და სიკეთით იცხოვრა და იმქვეყნადაც დიდი სიყვარული და პატივისცემა წაიყოლა.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო მეგობარო!

გიკა საყვარელიძე, კამო ჩიკაშუა, რომან მახარაძე, ვახტანგ ძავთარაძე, ავთო მანჭავიძე, გურამ ელიზბარაშვილი, ჯონი გოგიბერიშვილი, ვიქტორ ახობაძე, ჟორა საღარაძე, მურმან მაჩიტიძე, დიმა ჩანქსელიანი, გუჯა ჭიოკაძე.

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განცხადება

ნინო ტალახაძის და გიორგი ტალახაძის შეტყობინების თაობაზე ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ექსპროპრიაციის თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით (საქმე №3/76-2021) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის საავტომობილო გზის (50 კმ) რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს (შემდგომში - დეპარტამენტი) მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების ნინო ტალახაძის (პ/ნ 01001014635) და გიორგი ტალახაძის (პ/ნ 01019016126) (შემდგომში - თანამესაკუთრეები) თანასაკუთრებაში არსებულ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ მოლითში მდებარე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.17.33.333) მთლიანი ფართობის - 1500 კვ. მეტრის ნაწილზე - 386 კვ. მეტრზე და მასზე არსებულ მრავალწლიან ნარგავებზე (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება). საექსპროპრიაციო ქონებაზე ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 21 აგვისტოს განჩინების (საქმე №3/89-2019) საფუძველზე, სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - საჯარო რეესტრი) ამონაწერში ფიქსირდება რეგისტრაციის აკრძალვა. ამასთან, თანამესაკუთრეების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, დეპარტამენტისთვის და სასამართლოსთვის ცნობილი გახდა, რომ თანამესაკუთრეებს შორის მიმდინარეობს დავა, რაც ორივე თანამესაკუთრის მიერ დადასტურებულ იქნა სასამართლოს სხდომაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, იმისათვის რომ დეპარტამენტის მიერ განხორციელდეს საექსპროპრიაციო ქონებაზე, ექსპროპრიაციის შედეგად გათვალისწინებული საკომპენსაციო თანხის ჩარიცხვა, აუცილებელია წარმოდგენილ იქნას საექსპროპრიაციო ქონებაზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული აკრძალვის გაუქმების დამადასტურებელი, შესაბამისი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს საბანკო რეკვიზიტები, რომელზეც შესაძლებელი იქნება საექსპროპრიაციო ქონების სანაცვლოდ, დეპარტამენტის მიერ მესაკუთრეებისათვის შეთავაზებული საკომპენსაციო თანხის ჩარიცხვა.

თანამესაკუთრეებს შორის შეთანხმების მიუღწევლობისა და საექსპროპრიაციო ქონებაზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული აკრძალვის გაუქმების დამადასტურებელი, შესაბამისი დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის და საქართველოს კანონმდებლობის განაწესების შესაბამისად. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლის შესაბამისად, საკომპენსაციო თანხა განთავსდება ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსების შემთხვევაში, თანხის მიღება შესაძლებელი იქნება, მხოლოდ თანამესაკუთრეებს შორის ურთიერთშეთანხმების ან/და სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ამასთან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის განთავსება დაკავშირებულია გარკვეულ სანოტარო ხარჯებთან და გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ თანხის გამოტანის შემთხვევაში, თანხის გამომტანი მიიღებს თავდაპირველად შეტანილ თანხაზე ნაკლებ თანხას (დაიქვითება სანოტარო ხარჯები).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, ამ შეტყობინების გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღეში, თანამესაკუთრეებმა აცნობონ დეპარტამენტს თავიანთი პოზიცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, დეპარტამენტის მხრიდან განხორციელდება თანხის დეპონირების ღონისძიებები.

ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის მორიგი წარმატება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა, იური ბაღათურიას, ოთარ კემულარიასა და ირაკლი ლომიძის შემადგენლობით, CERN-ის ერთ-ერთ უდიდეს CMS ექსპერიმენტში, რომელიც დიდ ადრონულ კოლაიდერზე მუშაობს, მორიგ წარმატებას მიაღწია,– ამის შესახებ ინფორმაციას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებმა საინჟინრო მიმართულებით შეძლეს ახალი კამერების ელექტრონიკის გაციების სისტემის მოდელირება, შექმნეს სამუშაო ნახაზები და დაამზადეს პროტოტიპები.

CMS ექსპერიმენტში ჩართული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის წარმომადგენლის იური ბაღათურიას განმარტებით, ჯგუფმა შესაბამისი გამოცდის გავლის შედეგად გაციების სისტემის პროტოტიპები კამერებზე დააყენა. მისივე თქმით, ამ ეტაპზე სტუ-ის მკვლევრები სამეცნიერო მიმართულებით მონაწილეობენ RPC კამერებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზში, კამერების ტესტირებებში, მათი რადიაციული მედეგობის გამოცდაში, ახალი კამერების შექმნასა და სრულ ტესტირებაში.

როგორც CERN-ის CMS ექსპერიმენტში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის ლიდერი ზვიად წამალაიძე აცხადებს, ექსპერიმენტები არის მაღალტექნოლოგიური ინოვაციური პროექტები და მათ რეალიზაციაში აქტიური მონაწილეობა სასარგებლო და პრესტიჟულია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი CMS კოლაბორაციის შექმნის დღიდანვე არის მისი წევრი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვანტური ფიზიკისა და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტის ფიზიკოსები, ინჟინრები, IT სპეციალისტები, აქტიურად მონაწილეობენ CMS ექსპერიმენტის მიონური სისტემის წინაღობურ შრიან კამერებში (Resistive Plate Chambers, RPC) და მაღალი გრანულირების კალორიმეტრის (High Granularity Calorimeter Calorimeter, HGC) სუბდეტექტორების საქმიანობაში.

როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი დავით გურგენიძე ამბობს, ქართველი მეცნიერების აქტიურობას CMS ექსპერიმენტში სერიოზულ ფინანსურ და ორგანიზაციულ დახმარებას უწევს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, როგორც მასშტაბით, ასევე სამეცნიერო თვალსაზრისით, პრესტიჟული და მსოფლიოში წამყვანი საერთაშორისო ექსპერიმენტების წევრია და მას მჭიდრო ურთიერთობა აქვს მსოფლიოს წამყვან, უდიდეს ცენტრებთან და უნივერსიტეტებთან.

აღნიშნული მჭიდრო ურთიერთობები შესაბამისად განაპირობებს, ჩვენი სპეციალისტების ვიზიტებს ამ ცენტრებში და ასევე, უცხოელი კოლეგებისა ჩვენთან. აადვილებს ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, რაც ჩვენს სპეციალისტებს მისცემს შესაძლებლობას ყოველთვის იყვნენ მოვლენების განვითარების ეპიცენტრში და უდიდეს გამოგონებებში მიიღონ მონაწილეობა. ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ ქართველი მეცნიერების აქტიურობას CMS ექსპერიმენტში სერიოზულ ფინანსურ და ორგანიზაციულ დახმარებას უწევს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და პირადად მინისტრი, ბატონი მიხეილ ჩხენკელი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, – აცხადებს დავით გურგენიძე.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

უძველესი ქართული ხელნაწერები - მსოფლიო მეხსიერების რეესტრში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში დაცული, იუნესკოს მსოფლიო მეხსიერების რეესტრში შესული უძველესი ქართული ხელნაწერები Google Arts & Culture-ზე განთავსდა და ცალკე სექცია დაეთმო.

მათ შორის სრულად არის წარმოდგენილი ეროვნულ არქივში დაცული ყველა ის ხელნაწერი, რომელიც ამ დრომდე იუნესკოს მიერ მსოფლიო დოკუმენტური მემკვიდრეობის ნაწილად არის აღიარებული. აქვე შეხვდებით ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების უფროსის ქეთევან ასათიანის ონლაინლექციის ჩანაწერს მსოფლიო მეხსიერების რეესტრში შესული ქართული ხელნაწერების შესახებ. აღსანიშნავია, რომ იუნესკოს მსოფლიო მეხსიერების რეესტრის კომიტეტმა 2013-2017 წლებში ეროვნულ არქივში დაცული ხელნაწერები მსოფლიო მეხსიერების რეესტრში ზედიზედ სამჯერ შეიტანა. ეს დოკუმენტებია: ვახუშტი ბატონიშვილის ატლასი და „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (1745 წელი), IX-XV საუკუნეების 8 უძველესი ქართული ხელნაწერი და სახარება-პალიმფსესტი (IX-X, XII-XIII, XIV სს.)



ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტა

ესტაფეტამ პეკინში აიღო სტარტი. ესტაფეტა 3 დღის განმავლობაში გაგრძელდება და 4 თებერვალს, თამაშების გახსნის ცერემონიაზე დასრულდება. მასში 1000-ზე მეტი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას. ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ესტაფეტა მოკრძალებულად ჩაეტარებინათ.

ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე საქართველოს დელეგაციის მედროშეები მოციგურავე მორის ყვითელაშვილი და მოთხილამურე ნინო წიკლაური იქნებიან.

ორი რეკორდული ელვა

მსოფლიო მეტეოროლოგიურმა ორგანიზაციამ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში ორი რეკორდული ელვა გამოავლინეს – ყველაზე გრძელი და ყველაზე ხანგრძლივი. ყველაზე გრძელი ელვა აშშ-ის სამხრეთით, 2020 წლის 29 აპრილს აღირიცხა. მან 768 – 8 კილომეტრის სიგრძე მოიცვა, რაც წინა რეკორდზე 60 კილომეტრით მეტია.

ყველაზე ხანგრძლივი ელვა კი ცაზე 17,1 წამის განმავლობაში ჩანდა ურუგვაიში, 2020 წლის 18 ივნისს. წინა რეკორდი (17,73 წამი) 2019 წლის მარტში, არგენტინაში იყო დადასტურებული. რეკორდული ელვები უახლესი თანამგზავრების მეშვეობით დაფიქსირეს. მეტეოროლოგები არ გამორიცხავენ, რომ დედამიწაზე უფრო ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენები ხდება, რომელთა გამოვლინებასაც. სპეციალისტები ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად შეძლებენ.

მსოფლიო მოდის სახლი ნატურალურ ბეწვს აღარ გამოიყენებენ



იტალიური მოდის სახლი Dolce & Gabbana 2022 წლიდან თავის კოლექციებში ნატურალურ ბეწვს აღარ გამოიყენებს.

„ჩვენ უფრო მდგრადი მომავლისთვის მივისწრაფვით, რომელშიც ცხოველების ბეწვის გამოყენება შეუძლებელია“, – აღნიშნულია მოდის სახლის განცხადებაში. ამასთან, Dolce & Gabbana-ში აღნიშნავენ, რომ ბეწვთან მომუშავე თანამშრომლები სამსახურს არ დაკარგავენ – ისინი ეკობეწვისგან დაამზადებენ ნაკეთობებს.

მანამდე ცხოველების ბეწვის გამოყენებაზე უარი თქვეს კომპანიებმა: Armani, Gucci, Prada, Versace. გასული წლის დეკემბერში კი ჟურნალმა Elle გადაწყვიტა, რომ თავის ფოტოსესიებში ბეწვს აღარ გამოიყენებს და ბეწვისგან დამზადებული ნივთების რეკლამასაც არ დაბეჭდავს.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 7 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0451; ევრო - 3.4282;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1112;
100 რუბლი - 3.9312; თურქული ლირა - 0.2274;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7904;
1000 სომხური დრამი - 6.2963.

ამინდი 3 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+16
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+13
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+14
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge